

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო კ მ ი №9

სხდომა გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2018 წლის 4 ოქტომბერს (სხდომა დაიწყო 11:00 სთ-ზე, დამთავრდა 11:45 სთ-ზე).

სხდომას ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ბადრი კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ნანა ალანია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - დავითი ხუბია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - თათია ჯინჯოლავა; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე - ზაზა ნაჭყებია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - ზურაბი აფაქიძე; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე - ბადრი ხურცია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს თავმჯდომარე - ავ. ფოცხვერია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე - ზურაბი წურწუმი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“-ს თავმჯდომარის მოადგილე - ლევან გაბელია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს თავმჯდომარის მოადგილე - გენდი ხუხუნი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „სენაკელების“ თავმჯდომარე - მურადი შამათავა; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „სენაკელების“ თავმჯდომარის მოადგილე - ბორისი სოსელია; საკრებულოს წევრები: თამარი სალაყაია; მაია ადამია; ზურაბი სანაია; დინარა ხარბედია; როზმანი ქამადაძე; ნუკრი მირგატია; დათო ადამია; შაქრო კოკაია; იური ქორიძე; თეიმურაზ ვახანია; ელისო ცაგურია; ნიკოლოზ შამათავა.

ასევე ესწრებოდა: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი პირი: ჯ. ჩოჩია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი საკრებულოს აპარატის უფროსი - ვეფხვია რუსია, აპარატის თანამშრომლები.

სხდომას თავმჯდომარეობდა: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ბადრი კალანდარიშვილი.

დღის წესრიგი:

1. ქალაქ სენაკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე 891 ერთეული გარე განათების ბოძის ნაწილის შპს „მაგთიკომისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის და წლიური საიჯარო ქირის ოდენობის განსაზღვრის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე: ბადრი კალანდარიშვილი

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე - 25, წინააღმდეგი - 0); სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. ქალაქ სენაკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე 891 ერთეული გარე განათების ბოძის ნაწილის შპს „მაგთიკომისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის და წლიური საიჯარო ქირის ოდენობის განსაზღვრის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თვმჯდომარის მოადგილე: ბადრი კალანდარიშვილი

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული განკარგულების პროექტი - „ქალაქ სენაკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე 891 ერთეული გარე განათების ბოძის ნაწილის შპს „მაგთიკომისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის და წლიური საიჯარო ქირის ოდენობის განსაზღვრის თაობაზე“.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 25; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. მიეცეს თანხმობა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 10 (ათი) წლის ვადით გადასცეს შპს „მაგთიკომს“ ქალაქ სენაკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე 891 ერთეული გარე განათების ბოძის ნაწილი/წერტილი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განთავსებისათვის.
2. სარგებლობის უფლებით ქონების გადაცემის წლიური საიჯარო ქირის ოდენობა შეადგენს 2(ორი) ლარს 1 ერთეული ხაზოვანი ნაგებობის/გარე განათების კონსტრუქციების ნაწილის/წერტილის გამოყენებისათვის, სულ 1782 ლარი.
3. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: სენაკი, რუსთაველის ქ. №247).

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

ბადრი კალანდარიშვილი

სხდომის მდივანი:

მანანა სიორდია